სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/318

ქ. თბილისი

25 12 2018 წ.

სტუ-ს 2018 წლის 06 სექტემბრის №01-09-10/176 ბრძანების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2018 წლის 06 სექტემბრის №01-09-10/176 ბრძანებაში და მისი პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), ჩატარდეს 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 2019 წლის 09 თებერვლის ჩათვლით.

2. სასწავლო კომპონენტებში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-9 სასწავლო კვირაში – 2018 წლის 03 დეკემბრიდან 08 დეკემბრის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-17 კვირაში – 2019 წლის 11 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2019 წლის 18 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2019 წლის 04 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1).“

II. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2018 წლის 06 სექტემბრის №01-09-10/176 ბრძანებაში და მისი პირველი დანართი ჩამოყალიბდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (თ. წერეთელი).

IV. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი

დანართი

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2018/2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

სწავლების საფეხური	08-13 ოქტომბერი	15-20 ოქტომბერი	22-27 ოქტომბერი	29 ოქტომბერი - 03 ნოემბერი	05-10 ნოემბერი	12-17 ნოემბერი	19-24 ნოემბერი	26 ნოემბერი - 01 დეკემბერი	03-08 დეკემბერი	10-15 დეკემბერი	17-22 დეკემბერი	24-29 დეკემბერი	30 დეკემბერი - 14 იანვარი	15-19 იანვარი	21-26 იანვარი	28 იანვარი - 02 თებერვალი	04-09 თებერვალი	11-16 თებერვალი	18-23 თებერვალი	25 თებერვალი-02 მარტი	04-09 მარტი
კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	-	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX
სასწავლო კომპონენტები																					
ბაკალავრიატი	საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები								შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში)	საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები			საშობაო არდადეგები	საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები				დოკუმენტური მასალის ჩაბარება	სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები
მაგისტრატურა																					
დოქტორანტურა																					
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები																					
მაგისტრატურა	კვლევა												საშობაო არდადეგები	კვლევა				დოკუმენტური მასალის ჩაბარება	სესიები (დასკვნითი შეფასებები/ დაცვები)		იხ. დანართი 2
დოქტორანტურა (გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა")	კვლევა													კვლევა							
დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა")	დისერტაციის დასრულება							დისერტაციის წინასწარი დაცვა	დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში				საშობაო არდადეგები	მომზადება დისერტაციის დაცვისთვის					დისერტა-ციის დაცვა		იხ. დანართი 2